ხელშეკრულება № 190

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი „28“ „მაისი“ 2012 წ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის **გიორგი ცხაკაიას** სახით და **შპს „თბილი სახლი“**, შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი დირექტორის **მალხაზ კურტანიძის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 25 მაისი №726 ბრძანების შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

1 (ერთი) ერთეული უწყვეტი კვების წყაროს (UPS) მიწოდება და თანმდევი მონტაჟი (CPV-31154000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **84,000.00 (ოთხმოცდაოთხი ათასი) ლარს.**

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის (მონტაჟით) ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) განახორციელოს 1 (ერთი) ერთეული უწყვეტი კვების წყაროს (UPS) მიწოდება (მონტაჟით) (SOCOMEC UPS 200Kva DELPHYS GP BUT 18 MIN) ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 8 (რვა) კვირის განმავლობაში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №24ა;

ბ) წარუდგინოს შემსყიდველს ხელშეკრულების ღირებულების 100%-ის ოდენობის საავანსო საბანკო გარანტია ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში;

გ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება);

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. გარანტია

მიწოდებულ საქონელზე მწარმოებლის გარანტია ვრცელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში.

6. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელების დროს.

6.2 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე საქონლის საგარანტიო ვადის განმავლობაში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან გონივრულ ვადაში გამოასწოროს წუნი.

7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას განახორციელოს საავანსო ანგარიშსწორება ხელშეკრულების ღირებულების 100%-ის ოდენობით მიმწოდებლის მიერ იდენტური ოდენობის საავანსო საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

10.3 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წუნდებული საქონლის ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

10.4 წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,02%-ის ოდენობით.

10.5 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.6 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. საავანსო საბანკო გარანტია

12.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საავანსო საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღრული საქონლის მიწოდების (მონტაჟით) დასრულების ვადას 30 (ოცდაათი) დღით.

12.2 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საავანსო საბანკო გარანტია, შემსყიდველის მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის (თანმდევი მონტაჟით) მიწოდებას საავანსო საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გასვლამდე.

13. დავების გადაწყვეტა

13.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

16. ფორს-მაჟორი

16.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

17. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი – შემსყიდველს.

18. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის **გიორგი ცხაკაიას** სახით, **მისამართი:** ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №24ა, **ტელეფონი:** 240-51-84, **საბანკო რეკვიზიტები:** ანგ. №200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, ს/კ – 203845349	**შპს „თბილი სახლი"** წარმოდგენილი დირექტორის **მალხაზ კურტანიძის** სახით, **მისამართი:** ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №20, **ტელეფონი:** 231-15-35, 231-15-25, **საბანკო რეკვიზიტები:** ანგ. №GE19BG0000000175579101, სს „საქართველოს ბანკი", კოდი: BAGAGE22, ს/კ – 204976179

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

2012 წლის „26" „მაისი"

ვადასტურებ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, 1 (ერთი) ერთეული უწყვეტი კვების წყაროს (UPS) (მონტაჟით) შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში, შპს „თბილ სახლთან" ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

ხელშეკრულების დადებაზე უფლებამოსილი პირი ---------- გიორგი ცხაკაია